



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დადიანი ანდრია დავითის ძე



ა. დ. დადიანი

დადიანი ანდრია დავითის ძე (24. X. 1850, ზუგდიდი, - 13. VI. 1910, კიევი), მოჭადრაკე და ჭადრაკის მეცენატი. ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შვილი. 1873 დაამთავრა ჰაიდელბერგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1874-იდან მსახურობდა რუს. არმიაში. პქონდა გენერლის ჩინი. თამაშობდა ცნობილ მოჭადრაკეებთან პარიზში, რომში, კიევში, თბილისში (ს. როზენტალი, ს. დიუბუა, ი. შუმოვი, ი. კოლიში და სხვ.). 1881-82 მონაწილეობდა პეტერბურგის საჭადრაკო კლუბის მიერ გამართულ მოყვარულთა ორ ტურნირში და ორივეჯერ I

ადგილი დაიკავა. 1899 მიიწვიეს სრულიად რუს. I ჩემპიონატში, რ-შიც მონაწილეობა არ მიუღია. 1903-04 იყო მონტე-კარლოს საერთაშ. ტურნირების პრეზიდენტი. თანამშრომლობდა იმდროინდელ უცხ. და რუს. საჭადრაკო ჟურნალებთან, აწესებდა პრიზებს ლამაზი პარტიებისათვის. ინგლ. საჭადრაკო ჟურნალმა „ჩესს მანსლიმ“ ("The Chess Monthly") 1892 ივნ.-ივლ. ნომერი მთლიანად დ-ის შემოქმედებას მიუძღვნა. 1903 ე. შიფერსის წინასიტყვაობით კიევში ფრანგ. ენაზე გამოიცა დ-ის 100 პარტიის დაბოლოება ("Fins de Partie du Prince Dadian de Mingrélie").

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე თ., თამაშობს ანდრია დადიანი, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, რაინდული სულის მოჭადრაკე, თბ., 2004.

თ. გიორგაძე
